ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპალიტეტის მერის მინდია ჟღერიას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურმა შეიმუშავა დადგენილების პროექტი - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერი შეიმუშავებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ცვლილება შედის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებით დამტიცებული წესის 22-ე მუხლში და ზუსტდება აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დახმარების მიმღებთა კატეგორიები, დაფინანსების ოდენობა და კრიტერიუმები.

ეს ცვლილება ამ ეტაპზე არ იწვევს რაიმე დამატებით ფინანსურ ვალდებულებას.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ დუმბაძე.

მუნიციპალიტეტის მერი: მინდია ჟღერია